ონის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი # 9

ქ. ონი 24. 10. 2022 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე სერგო ლობჯანიძე.

სხდომას 12 წევრიდან ესწრებოდა 9 წევრი: სერგო ლობჯანიძე, ვასილ მეტრეველი, მამუკა ყავლაშვილი, გივი მეტრეველი, სონია გუგეშაშვილი, რევაზ საბანაძე, შალვა კახეთელიძე, შუქურა ჯაფარიძე, ლევან ორდინიძე.

არ ესწრებოდნენ : თამაზ მეტრეველი, ზურაბ ბენდიანიშვილი, ნოდარ ბურდილაძე.

ს. ლობჯანიძემ კომისიის წევრებს გააცნო კომისიის სხდომაზე განსახილველი საკითხები:

1.,,ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე

2. ონის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სპორტსმენების, მწვრთნელების და წარმომადგენლების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას მგზავრობის, საცხოვრებელი ფართობის, ქირავნობის და კვების უზრუნველყოფისთვის საჭირო თანხების ოდენობისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე

3. ა(ა)იპ ,,ონის მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრის“ დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე

4. ა(ა)იპ ,,ონის მუნიციპალური გამწვანების სამსახურის“ შექმნაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე

5. ,,ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის და მიზნობრივი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე

6. ,,ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების

გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 დეკემბრის #27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე

7. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2022 წლის 9 თვის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

/მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ს. ლობჯანიძემ აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით წარმოდგენილი ცვლილებები მისაღებია, რადგან შესაძლებლობის ფარგლებში ასახავს მოსახლეობის ინტერესებს.
 კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს აღნიშნული საკითხის ბიუროს დღის წესრიგში შეტანას განსახილველად.

მოისმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სპორტსმენების, მწვრთნელების და წარმომადგენლების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას მგზავრობის, საცხოვრებელი ფართობის, ქირავნობის და კვების უზრუნველყოფისთვის საჭირო თანხების ოდენობისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე

ს. ლობჯანიძემ კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სპორტსმენების, მწვრთნელების და წარმომადგენლების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას მგზავრობის, საცხოვრებელი ფართობის, ქირავნობის და კვების უზრუნველყოფისთვის საჭირო თანხების ოდენობისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტის ბიუროს სხდომაზე განხილვას.

მოისმინეს: 3. ა(ა)იპ ,,ონის მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრის“ დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე

ს. ლობჯანიძემ კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ა(ა)იპ ,,ონის მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრის“ დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

აზრი გამოთქვა: ვ. მეტრეველმა აღნიშნა, რომ აღნიშნული ა(ა)იპი საჭიროებებიდან გამომდინარე განახორციელებს ონის მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვას, რაც გარკვეულწილად მოაგვარებს ამ მიმართულებით არსებულ პრობლემებს.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის ბიუროს სხდომაზე განხილვას.

მოისმინეს: 4. ა(ა)იპ ,,ონის მუნიციპალური გამწვანების სამსახურის“ შექმნაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე

ს. ლობჯანიძემ კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ა(ა)იპ ,,ონის მუნიციპალური გამწვანების სამსახურის“ შექმნაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

აზრი გამოთქვა: გ. მეტრეველმა განაცხადა, რომ აღნიშნული ა(ა)იპ-ი იზრუნებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე, რაც მკვეთრად გააუმჯობესებს ამ კუთხით არსებულ მდგომარეობას.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს აღნიშნული საკითხის ბიუროს სხდომაზე განხილვას.

მოისმინეს: 5. ,,ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის და მიზნობრივი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე

ს. ლობჯანიძემ კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის და მიზნობრივი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ და განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურში შეიქმნა ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება, რომლის მიზანია ფინანსური მხარდაჭერა გაუწიოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ ბავშვს და ხელი შეუწყოს ბავშვის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზებას და დაცვას. პროცესების სწორი და გამართული მუშაობისთვის საჭიროა დამტკიცდეს ,,ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის და მიზნობრივი დახმარების გაცემის წესი“.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს აღნიშნული საკითხის ბიუროს სხდომაზე განხილვას.

მოისმინეს: 6. ,,ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 დეკემბრის #27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე

ს. ლობჯანიძემ კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 დეკემბრის #27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და განმარტა, რომ აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილება გულისხმობს მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ზამთრის თბობისთვის ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემას-300 ლარის ოდენობით.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს აღნიშნული საკითხის ბიუროს სხდომაზე განხილვას.

მოისმინეს: 7. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2022 წლის 9 თვის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

/მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

ს. ლობჯანიძემ სხდომას გააცნო ინფორმაცია ინფორმაცია მუნიციპალიტეტში 2022 წლის 9 თვის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი ინფორმაციის ბიუროს სხდომაზე განხილვას.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სერგო ლობჯანიძე

კომისიის თავმჯდომარე